საქმე №010332222900149773

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-05-22 **28 ოქტომბერი, 2022 წელი**

თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა

შემადგენლობა:

თავმჯდომარე - ალექსანდრე წულაძე

მოსამართლეები - რევაზ ნადარაია

გოჩა აბუსერიძე

სხდომის მდივანი - მ--- ჯ--------

საჩივრის ავტორი - ადვოკატი დ----- ც-----ე

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

წარმომადგენელი - თ----- ხ----------ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 1 აგვისტოს №084/20 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

ადვოკატმა პ----- შ----ემ 2020 წლის 22 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა და ადვოკატ დ----- ც-----

ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვა.

პ----- შ----ის განმარტებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში იცავდა მ------- ნ-----ისა და რ----- ც-----ის ინტერესებს (რომელთა სასარგებლოდაც დასრულდა დავა), ხოლო მოდავე მხარის - მ----- ს-------ის ინტერესებს - ადვოკატი დ----- ც-----ე. დავის დასრულების შემდეგ, ადვოკატმა დ----- ც-----ემ 2020 წლის 16 სექტემბერს სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე გამოაქვეყნა პოსტი, რომელშიც რ----- ც-----ე და მ-------- ნ-----ე მოიხსენია „კრიმინალებად“ და „მძარცველებად“, პ----- შ----ე კი - „ფსევდო ადვოკატად“. გარდა ამისა, მოგვიანებით, დავის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას, დისტანციურად გამართულ სასამართლო სხდომაზე დ----- ც-----ემ დაარღვია წესრიგი და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პ----- შ----ეს, რის გამოც ადვოკატი დ----- ც-----ე გაძევებულ იქნა სასამართლო სხდომიდან.

ზემოაღნიშნული საჩივრის განხილვისას, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ადვოკატმა დ----- ც-----ემ ადვოკატ პ----- შ----ის მიმართ გამოიყენა არაერთი შეურაცხმყოფელი, უცენზურო და არაეთიკური ფრაზა, მათ შორის: „ტვინი არ გაქვს და სამართლის დოქტორად იწოდები“; „ეს ნაბიჭვარი ჯერ კიდევ არის გისოსებს მიღმა“; „ეს არქიფო სეთურის ნაბიჭვარი, სულით ავადმყოფი, ავანტიურისტი, ინტრიგანი, ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფის ინტელექტუალური დამხმარე და თავად დანაშაულების ჩამდენი, ფსევდო ადვოკატი პ----- შ----ე, რომელიც უშუალოდ არმცნობი ვირტუალური მეგობრებისთვის არის „სამართლიანობისთვის“ მებრძოლი, ხოლო რეალურად -კრიმინალი, თაღლითი“; „ვერ დავაოკეთ ეს მართლა სუნიანი უწიგნური და გაუცრელი მჭადით სიმწრით გამოზრდილი ნაძირალა! ეს არალიცენზირებული ჯამბაზი!“; „როდემდე უნდა ვითმინოთ საადვოკატო საქმიანობას ამოფარებული ამ შიზოფრენ ეშმაკის თავ-ფეხის გამოხტომები? პ----- დედაშენს მოვიკითხავ საიქიოში“; „პ----- შ----ე, შე არამზადა ნაძირალა, გახრწნილო, გათახსირებულო, მოძალადე და ბოროტმოქმედების თანამზრახველო ყიზილბაშო, ფანტაზიორო და არალიცენზირებულო ჯამბაზო, შენ გინდა ხომ ჩემი კომერციული ფართი?!“; „ჯიბგირო! ნაგავო!“ *(ეთიკის კომისიამ ადვოკატ დ----- ც-----ის მიერ პ----- შ----ის მიმართ გინების შემცველი სხვა ფრაზების გაჟღერებაც დაადგინა, რომელთა განსაკუთრებული არაეთიკურობიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა დამატებით მათ ჩამოთვლას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს).*

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა - დ----- ც-----ემ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლით განმტკიცებული **კოლეგიალობის პრინციპი**, რომლის

თანახმადაც, ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები. შედეგად, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 1 აგვისტოს №084/20 გადაწყვეტილებით დადგინდა ადვოკატ დ----- ც-–––––––ის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა. ამასთანავე, კომისიამ მიუთითა, რომ ვინაიდან დ----- ც-–––––––ის მიმართ უკვე იყო გამოყენებული დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება (საქმე №065/21, 30.03.2022წ.), კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნებოდა, რის გამოც ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახით გამოყენებულ იქნა **გაფრთხილება**.

დასახელებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, კანონით დადგენილ ვადაში, გაასაჩივრა ადვოკატმა - დ----- ც-–––––––ემ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება არის უკანონო და დაუსაბუთებელი. ადვოკატი სადავოდ ხდის მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებას და მიუთითებს, რომ არ არსებობს დამაჯერებელ და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს დაადასტურებდა; ამასთან, თავად დ----- ც-–––––––ის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები კომისიამ არ გამოიკვლია და არ შეაფასა.

საჩივრის ავტორი დამატებით მიუთითებს, რომ პ----- შ----ე საქმეში მონაწილეობდა არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც - კონფლიქტის მხარე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2022 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ადვოკატ დ----- ც-–––––––ის საჩივარი და სასამართლო სხდომა დაინიშნა 2022 წლის 28 ოქტომბერს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის 2022 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულება - ადვოკატ პ----- შ----ესთან საპროცესო კოლეგიის გასაუბრების ვიდეო-ოქმი, რომელიც დაერთო საქმეს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-

დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ დ----- ც----------ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 1 აგვისტოს №084/20 გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის დადასტურება წარმოადგენს.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტიდან, მე-3 მუხლის „დ“ და „ლ“ ქვეპუნქტებიდან და მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც **ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს**; ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერების, კარგი რეპუტაციისა და იურიდიული პროფესიის პატივისცემის პრინციპების გათვალისწინებით, ასევე, **ზუსტად და განუხრელად უნდა დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.**

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად კი, **ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები**. იმავე კოდექსის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი, ასევე, განსაზღვრავს, რომ **ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს თავის კოლეგას.**

ამრიგად, ადვოკატის ერთ-ერთ ეთიკურ ვალდებულებას კოლეგიალობის პრინციპის დაცვა წარმოადგენს, რომელიც ავალებს ადვოკატს **ნებისმიერ სიტუაციაში,** სასამართლოში თუ მის ფარგლებს გარეთ, პროცესის მონაწილეებთან თუ უშუალოდ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ურთიერთობისას, პატივი სცეს საკუთარ პროფესიას, საქმიანობასა და კოლეგებს, იყოს კორექტული და არ შელახოს სხვა ადვოკატის ღირსება ან რეპუტაცია. შესაბამისად, ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას.

განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია, რომ დ----- ც----------ე და პ----- შ----ე არიან ადვოკატები, ამრიგად, მათ ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება. აქედან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ საქმეში მონაწილეობდა როგორც მხარე და არა როგორც ადვოკატი, რადგან ადვოკატის სტატუსისა და მისთვის საზოგადოების წინაშე დაკისრებული

პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ადვოკატმა ყოველთვის უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და არ მიაყენოს შეურაცხყოფა კოლეგებს.

რაც შეეხება უშუალოდ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის ფაქტის დადასტურებას, სადისციპლინო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ვიდეოჩანაწერზე, რომლითაც დასტურდება დ----- ც----------ის მიერ პ----- შ----ისადმი შემდეგი ფრაზით მიმართვა: „ტვინი არ გაქვს და სამართლის დოქტორად იწოდები“. აღსანიშნავია, რომ ადვოკატი დ----- ც----------ე საჩივარშიც იმავე განწყობასა და დამოკიდებულებას აფიქსირებს ადვოკატ პ----- შ----ის მიმართ (ს.ფ. 209).

გარდა ამისა, სადისციპლინო პალატა მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ, დ----- ც----------ის „Facebook-გვერდიდან“ ამობეჭდილ ფოტოებზე (ე.წ. „სქრინშოთები“), რომლებითაც, ასევე, დასტურდება მისი მხრიდან კოლეგის მიმართ უხამსი და შეურაცხმყოფელი ფრაზების გამოყენება. ამასთან, სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ მითითებული „Facebook-შეტყობინებები“ (ე.წ. „პოსტები“) არ არის გამოქვეყნებული მისი პირადი გვერდის მეშვეობით, რადგან 2020 წლის 3 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტში შეტანილ განცხადებაში დ----- ც----------ე თავად მიუთითებს, რომ სოციალურ ქსელ „Facebook-ზე“ რეგისტრირებულია როგორც „დ----- ც----------ე“, წარმოდგენილი „პოსტები“ კი ამავე სახელის მომხმარებლის მიერაა გამოქვეყნებული. საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულებები კი საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია.

შესაბამისად, სადისციპლინო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს, რომ ადვოკატმა დ----- ც----------ემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ადვოკატ პ----- შ----ეს და დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლით განმტკიცებული კოლეგიალობის პრინციპი, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს ქმნიდა. ამასთან, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის მიმართ გამოყენებულ იქნა პროპორციული დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება და არ არსებობს სახდელის შემსუბუქების წინაპირობები, როგორც ჩადენილი დარღვევის შინაარსისა და სიმძიმის, ისე საჩივრის ავტორის მიმართ 2022 წელს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებისა და გაფრთხილების უკვე გამოყენების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს ადვოკატ დ----- ც----------ის საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გადაწყვიტა:

1. ადვოკატ დ----- ც-----ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 1 აგვისტოს №084/20 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე: **/ალექსანდრე წულაძე/**

მოსამართლეები: **/რევაზ ნადარაია/**

/გოჩა აბუსერიძე/